

შპს „სილქ ფაქტორი სტუდიო“

სპეციალური ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

შპს „სილქ ფაქტორი სტუდო“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 15/02/2017 საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 404531734, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, მ.კოსტავას N59, კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

კომპანიის წილის მფლობელები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:
ბერა ივანიშვილი (პ/ნ 65002010838) -100%;

სამეთვალყურეო საბჭო:

თავმჯდომარე/წევრი: ივანე ხვედელიძე, (35001108440)

თავმჯდომარის მოადგილე/წევრი: ლევან ხაინდრავა, (01031004102)

წევრი: გიორგი ხაინდრავა, (01015001324)

კომპანიის დირექტორი:

დირექტორი - გიორგი ხაინდრავა, (01015001324)

კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა კინო/აუდიო/ვიდეო გადაღება, კინოგადასაღები ტექნიკით მომსახურება.

კომპანიას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი

2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

წინამდებარე სპეციალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას. 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

3. გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების

საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ⁹ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო

თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

კომპიუტერული ტექნიკა-5 წელი;

ავეჯი და ინვენტარი - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის 11 ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისის შემთხვევებისა).

2018 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6468 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.5922 ლარი;

1 EUR=3.1044 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2018 წელს: 1 USD=2.5345 ლარი;

1 EUR=2.9940 ლარი.

2017 წელს: 1 USD=2.5086 ლარი;

1 EUR=2.8596 ლ

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მდგომარეობით
(1 ლარი)

	31.12.2018	31.12.2017	01.01.2018
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	62 899	41 813	
სავაჭრო მოთხოვნები	255 325	96 000	
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	1 252 880	3 112 880	
სხვა არამატერიალური აქტივები	7 645 565	8 601 261	
ძირითადი საშუალებები	3 973 787	5 110 182	
სულ აქტივები	13 190 455	16 962 136	
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	821 218	391 722	
საგადასახადო ვალდებულებები	904 102	406 967	
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	16 827 888	18 812 688	
სულ ვალდებულებები	18 553 208	19 611 376	
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	575 000	350 000	
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	(5 937 752)	(2 999 240)	
სულ საკუთარი კაპიტალი	(5 362 752)	(2 649 240)	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	13 190 455	16 962 136	

- -

**მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის**

	2018 წელი	2017 წელი
ნეტო ამონაგები	1 268 845	
მომსახურების გაწევიდან	1 268 845	
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1 349 139)	
ცვეთა და ამორტიზაცია	(2 235 719)	
საპროცენტო ხარჯი	(295)	
იჯარის ხარჯი	(268 768)	
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	(353 437)	
სულ საოპერაციო ხარჯები	(4 207 357)	

საოპერაციო მოგება	(2 938 512)	
--------------------------	--------------------	--

მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი	(2 938 512)	
ოპერაციებიდან	(2 938 512)	
მოგების გადასახადი	-	
მოგება/(ზარალი)	(2 938 512)	

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	(2 649 240)	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(2 938 512)	
კაპიტალის სხვა ცვლილებები	225 000	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	(5 362 752)	

TRUE

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

საკუთარი ცვლილებების ანგარიშგება	კაპიტალის კაპიტალი	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 1 იანვარი		350 000	-2 999 240	(2 649 240)

მოგება წლის ბოლოს (2 938 512) (2 938 512)

გაცემული დივიდენდი -

საწესდებო კაპიტალის შევსება 225 000 225 000

2018 წლის 31 დეკემბერი		575 000	(5 937 752)	(5 362 752)
------------------------	--	---------	-------------	-------------

შემოწმება, 2018

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მდგომარეობით
 (1 ლარი)

	<u>2018</u>	
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(217 976)	
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	225 000	
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	14 905	
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		
სავალუტო კურსის ეფექტი	(843)	
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	41 813	
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	62 899	

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მდგომარეობით
(1 ლარი)

	31.12.2018	31.12.2017	01.01.2018
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	62 899	41 813	
სავაჭრო მოთხოვნები	255 325	96 000	
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	1 252 880	3 112 880	
სხვა არამატერიალური აქტივები	7 645 565	8 601 261	
ძირითადი საშუალებები	3 973 787	5 110 182	
სულ აქტივები	13 190 455	16 962 136	

ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	821 218	391 722	
საგადასახადო ვალდებულებები	904 102	406 967	
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	16 827 888	18 812 688	
სულ ვალდებულებები	18 553 208	19 611 376	

საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	575 000	350 000	
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	(5 937 752)	(2 999 240)	
სულ საკუთარი კაპიტალი	(5 362 752)	(2 649 240)	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	13 190 455	16 962 136	

დირექტორი: გიორგი ხაინდრავა



მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

	2018 წელი	2017 წელი
ნეტო ამონაგები	1 268 845	
მომსახურების გაწევიდან	1 268 845	
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1 349 139)	
ცვეთა და ამორტიზაცია	(2 235 719)	
საპროცენტო ხარჯი	(295)	
იჯარის ხარჯი	(268 768)	
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	(353 437)	
სულ საოპერაციო ხარჯები	(4 207 357)	

საოპერაციო მოგება	(2 938 512)	
-------------------	-------------	--

მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი	(2 938 512)	
ოპერაციებიდან	(2 938 512)	
მოგების გადასახადი	-	
მოგება/(ზარალი)	(2 938 512)	

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	(2 649 240)	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(2 938 512)	
კაპიტალის სხვა ცვლილებები	225 000	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	(5 362 752)	

TRUE

დირექტორი: გიორგი ხაინდრავა



კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 1 იანვარი	350 000	-2 999 240	(2 649 240)
მოგება წლის ბოლოს		(2 938 512)	(2 938 512)
გაცემული დივიდენდი			-
საწესდებო კაპიტალის შევსება	225 000		225 000
2018 წლის 31 დეკემბერი	575 000	(5 937 752)	(5 362 752)

შემოწმება, 2018

დირექტორი: გიორგი ხაინდრავა



ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მდგომარეობით
 (1 ლარი)

	2018	
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(217 976)	
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	225 000	
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	14 905	
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		
სავალუტო კურსის ეფექტი	(843)	
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	41 813	
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	62 899	

დირექტორი: გიორგი ხაინდრავა

